ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1287909

ნომერი: AR1221153

თარიღი : 19.05.2014

გაცემის თარიღი : 23.05.2014

გაცნობის თარიღი : 23.05.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა / ქალაქი თბილისი , ჩიხი ჩოლოყაშვილი III , N 4 , (ნაკვეთი N60/30) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯემალ მიმინოშვილი პ/ნ 01024012274
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 11ა ბ. 16

ორგანიზაცია:

- ი.ბ.ა. "ორთაჭალა-2006" კოდი: 206330406

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ AR1152746 და AR1155140 განცხადებებით ითხოვდით დამხმარე ფუნქციის შენობა/ნაგებობის განთავსების ნებართვას, რომელიც გამოყენებულ იქნებოდა მომიჯნავე მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის დასასაწყობებლად, ასევე ამხანაგობის სხვა სახის სამეურნეო მიზნებისათვის. შესაბამისად გაიცა წერილობითი თანხმობა დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე (გადაწყვეტილება №880368).

რაც შეეხება ამჟამად თქვენს მოთხოვნას ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში "დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის" შეცვლას "ავტოფარეხად" განგიმარტავთ:

ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ~ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 29 მარტის №4-13 გადაწყვეტილების 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საცხოვრებელი ზონების ცალკეულ ქვეზონებში სატრანსპორტო საშუალებების შენახვის რეკომენდირებული სახეობაა ავტოსადგომები რელიეფის გამოყენებით (მიწისქვეშა ავტოსადგომები). მე-3 პუნქტის თანახმად კი სისტემურად მოწყობილ (ჩამოყალიბებულ) ავტოფარეხებს შორის დარჩენილი ცარიელი სივრცე შესაძლებელია შეივსოს მსუბუქი კონსტრუქციის დროებითი შენობა-ნაგებობით. თქვენს შემთხვევაში, საპროექტო შენობა უნდა განთავსდეს კორპუსისათვის მიკუთვნილ წითელ ხაზებში, სადაც არ არის ავტოფარეხების მწკრივი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა "დროებითი (საძირკვლის არ მქონე) შენობა-ნაგებობის" ავტოფარეხად შეცვლის თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge